

# სიხსოვე

N1, 2002

მარტი

ISSN 0132-6015



სატირისა და იუმორის ჟურნალი

„ნიანგის“ წაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის

136  
2002

თბილისი, 2002 წლის აპრილი

აქ ჩამოსვლოვლი  
ინვესტიციის და გიზნუ-  
ბანის დაედაუ...

აიღევ ჩამოთი  
დაფი ინვესტიციები  
ჩამოიყანეთ, ხმზაყ-  
ვავეთ!

ტრუბარჯოს  
საქარაფელომ  
და ესპანეთის  
მეოთხრობას

გობოვი, გუბ-  
ერსნუბით ჩამო  
ლით, გუგუხაყ







# ჰაზარტი

## მთავარი თემა



გელეკრანზეა ქერათმიანი წამყვანი, რომელიც ომახი-ანად ჭახჭახებს.

**წამყვანი** – დაბრუნდება თუ არა გადამდგარი მთავრობა ძველი შემადგენლობით და თუ დაბრუნდება, აგორდება თუ არა ისევ ქუჩის გაღება და თუ აგორდება, როგორ იმოქმედებს პარლამენტის განწყობილებაზე და რა გადაწყვეტილებებს მიაღებინებს ქვეყნის პრეზიდენტს ახალ, გართულებულ სიგუაციასთან დაკავშირებით. ამ და სხვა პრობლემებით, დღის მთავარი თემით ეთერშია „მოამბე“ ინგასთან ერთად... ჰო, მართლა, გამარჯობათ! ჩვენი სტუმარია მესამეჯერ გასამინისგრებელი, ამჟამად კი ექსთაფლაცვის მინისგრი, დავით თევზაძე, გამარჯობათ!

**დავითი (ლუმს)**

**ინგა** – გამარჯობათ, დათო-ბაგონო!

**დავითი** – მმმ... ჩვენ უკვე... გადაცემის წინ ვითხარით...

**ინგა** – კი, მაგრამ მაყურებელმა ეს სომ არ იცის... მაყურებელს ძალიან აინტერესებს და საერთოდ, საქართველოს ყველა მცხოვრებს, დღევანდელი პოლიტიკური სიგუაცია... რას ეგყვით სრულიად საქართველოს, ბაგონო დავით!

**დავითი** (იქით-აქით იყურება. მერე მომუწული პირით მარცვლავს) – ჯერ ერთი, არა მგონია მთელი მოსახლეობა ჩვენ გვიყურებდეს... მეორე...

**ინგა** (მოუთმენლად) – გისმენთ, ბაგონო დავით!

**დავითი** – მეორე... მეორე...

**ინგა** – რა „მეორე“ ბაგონო დავით?

**დავითი** – მეორეც ის, რომ... მე რა შუაში ვარ?

**ინგა** – გელემაყურებელს იმედი აქვს, რომ ექს და მომავალი მინისგრი აგვისხნის სიგუაციას...

**დავითი** – გყუილად ჰგონიათ.

**ინგა** – დიდი მადლობა, ბაგონო დავით. იქნებ ის მაინც განგვიმარტოთ, რამ გამოიწვია მთავრობის დათხოვნა?

**დავითი** – ეგ პრეზიდენტს ჰკითხეთ...

**ინგა** – მე ერთი რამ მაინტერესებს, ბაგონო დავით, ამ დასეკვესტრებული ბიუჯეტის შემხედვარემ როგორ უნდა ააშენოთ თავდაცვის ბასტიონები?

**დავითი** (ლუმს, აქეთ-იქით იმზირება) – მმმ... ვინა

სთქვა, რომ ვაშენებ?

**ინგა** – ბაგონო

დავით, ისარგებლებენ თუ არა თქვენი ნდობის მანდაგით თქვენი მომავალი კოლეგები – ძალოვანი მინისგრები?

**დავითი** – ნდობის მანდაგებს მე არ ვიძლევი...

**ინგა** – მე მესმის საკითხის მთელი სირთულე, მაგრამ იქნებ აუხსნათ მოსახლეობას, როგორ აპირებთ აუხამეთის დაბრუნებას?

**დავითი** (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) – მე ქრისტიან-დემრთი არა ვარ, თევზაძე ვარ.

**ინგა** – დიდი მადლობა, ბაგონო დავით. იქნებ ის მაინც გააგებინოთ მაყურებელს, რაგომ არ შეასრულეთ სიგყვა, როცა მგრის თვითმფრინავების ჩამოგდებას საზეიმოდ დაჰპირდით?

**დავითი** (ფრჩხილებზე იყურება) – ჯერ ერთი, საზეიმო რა მქონდა... მეორე, მე ვერგმფრინებზე ვთქვი... მესამე, ვინ გასროლინებს შენს ნებაზე.

**ინგა** – ესე იგი, თქვენ საჯაროდ აცხადებთ, რომ პრეზიდენტი სროლას ვიკრძალავთ?

**დავითი** (აქეთ-იქით იმზირება, მერე მაგიდის ქვეშ შეიხედავს) – მე ეგ არ მითქვამს...

**ინგა** – აბა, მაშ ვინ? დააკონკრეტეთ, ბაგონო დავით.

**დავითი** (გრძელი პაუზის შემდეგ) – ხანდახან პროკურორი მგონიხარ... (თვალეებს ხუჭავს).

**ინგა** (კისკისებს) – მე დამოუკიდებელი ჟურნალისტი ვარ, ბაგონო დავით, და უფლება მაქვს გკითხოთ, რაც მომესურვება.

**დავითი** (დაკინებით უმზერს, მერე სახელოებს დაიკაპი-წებს) – მმმ... მკითხეთ...

**ინგა** – დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. გელემაყურებელს კი შევახსენებ, რომ ჩვენს ეთერში, ინგასთან ერთად იმყოფებოდა ექსმინისგრი და მესამეჯერ გამინისგრებული...

(ეკრანი ქრება. ენგურჰესზე ავარიია)

უყურა და მოუსმინა

ლ'ერიონ



ესენი საქართველოდან არიან, ჰუმანიტარულ დახმარებას ელიან და ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობენ!

თემა და ნახ. ლ. ფაგელენიშვილისა




# ქობულეთური ლამის პნებანი

ნანახი

ეროვნული

გზონი



ცოლ-შვილს ერთხელ მაინც რომ ვერ აუსრულებს დანაპირებს, განა ის კაცია? ჰო და, ძეგვში, საგარეჯოში, იგოეთსა თუ ხაშში გატარებული მრავალწლიანი საზაფხულო ვოიაჟების შემდეგ, შევძელი შეუძლებელი და ჩემი ცოლ-შვილი წელს დასასვენებლად ქობულეთში ჩავიყვანე. ფიჭვნარი, ახლად აგებული სასტუმრო, ოროთახიანი ლუქსი. ნეტავ ოდესმე ვყოფილვარ ასეთი ამაყი და ბედნიერი?.. ახლა ღამეა. შესანიშნავი ავეჯით განყოფილ საძინებელში ჩემს გოგო-ბიჭს ტკბილად სძინავს. მე და ჩემი მეუღლე აივანზე ვდგავართ და მთვარის შუქით განათებულ მოლივლივე ზღვას გავცქერით. ჩვენს გვერდით ნომერში შუქი ანთია. ღია კარზე ჩამოფარებული ფარდა ზღვიდან მონაბერმა ნიავმა შეარხია და... ამკარად გავიგონე ქალის ალგზნებული ხმა:

— რა ვქნა, ვერ ვათავებ...  
წამით გავშეშდი. ამ დროს მკაფიოდ მომესმა ხმაჩახლეჩილი მამაკაცის პასუხი:

— ვერც მე ვათავებ; რა ქვა ჩაასკდა ამისთანა!..  
— თქვენ რა გეთქმით, ხანდახან მაინც ათავებთ, მე რა ვთქვა, აღარც კი მახსოვს ბოლოს როდის...  
ეს სულ სხვა ქალის ხმა იყო.

— ამას წინათ შენ არ იყავი, ზედიზედ სამჯერ რომ გაათავე? — იკითხა სასიამოვნო ტენორის მქონე ახლა უკვე სხვა მამაკაცმა.

მხრის შეხებით ვგრძნობ, რომ ჩემი ცოლი საერთოდ აღარ სუნთქავს, გაქვავებულია. კიდევ რამდენიმე წამი, ფარდა ნიავმა კვლავ შეარხია და... ქალის შეკვივლება, წამიერი პაუზა და კიდევ ახალი ბანოვანის მიბნედილი ხმა:

— გავათავე... გავათავე!..  
ეს იყო ბოლო სიტყვები, რაც გავიგონე, რადგან ცოლმა მძლავრი მუჯლუგუნით ოთახში შემომადგო.

— ეს არის საუკეთესო წომერი, შე იდიოტო? აქ სად მოგვიყვანე, სად? ამ პრიტონში გადაიხადე ქვეყნის ფული? ჩადი ახლავე და იმ ტიპს ოთახი შეაცვლევი!

— ამ შუალამეს სად უნდა ჩავიდე, გაგიჟდი?  
— გაგიჟება როგორ უნდა, მე შენ ახლავე გაჩვენებ. გგონია დილაშე დავიცდი და ვუყურებ ამ, ამ... ჯგუფურ... კარგი, მე წავალ. ჩემს მტერს შენი იმედი!..

ამ სიტყვებზე ჩემი ცოლი ტყვიასავით გავარდა გარეთ. რატომ არ შევაჩერე? იმიტომ, რომ თქვენ მას არ იცნობთ, მე კი...

ამ დროს კიბეებზე ბრავაბრუფი ატყდა. შორიდანვე შევიცანი ჩემი ცოლის ომახიანი კონტრალტო და სასტუმროს მორიგეს მიკნავებული კრინი. მართალია, სიტყვებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ ახლა უკვე სულერთი იყო, ვიცოდი რა უბედურებაც დატრიალდებოდა. მართლა ჩემი ბედის!..

... ახლა კვლავ აივანზე ვდგავარ. მთვარის შუქით განათებული ზღვა ზღაპრულად ლივლივებს. ჩემს გოგო-ბიჭს ტკბილად სძინავს. ჩემი ცოლი? ჩემი ცოლი მეზობელ ნომერშია. მეც მეპატიჟებოდნენ, მაგრამ უარი ვუთხარი. რა ვქნა, არ მიყვარს ლოტოს თამაში.

— მიშველევით!!!  
— აჰა, შენ ღირსების ორდენი!




აი, ძმაო, სამთავრობო სავარძლის ახალი მოდელი გავაკეთე!

საქართველოს  
ეროვნული

ა. ალენიძე





- ყვანჩალ, გაიგე!? გამოურკვევიათ შევარდენი ყვავზე დიდხანს ცოცხლობსო!

მოგესალმები და სიყვარულით გულში გიკრავ, თაყუსი გიხატავ შიშით „ნიანგო!“ ყველასაგან ნაღალაგევი და გულდაკოდილი მასწავლებელი შემიფარე, დამიყვავე, კაცად მაქციე, მადლობა შენ ამისათვის და ღმერთს ვთხოვ, მომცეს ძალი და უნარი სიკეთეზე სიკეთით ვიპასუხო, დაგიფასო ამაგი ჩემზედ გაწეული.

წავიდა ის დრო, როდესაც კომუნისტურმა მაფიამ ქუთაისისამ ამიკრძალა შენს ფურცლებზე მოღვაწეობა (არა მარტო შენს ფურცლებზე). ძალზე ვამახარე, რომ განახლებულხარ, გალამამბებულხარ და ბრძოლას განაგრძობ. ყოველთვის შენს ერთგულ ძმად და მეგობრად მიგულე, იცოდე, არ დაგივიწყებ.

უკვე 6 წელია საფრანგეთში ვცხოვრობ, ქალაქ სტრასბურგში. ღმერთია მოწყალე, ბინაც მომცა და სახელოსნოც. ვაპირებ, პაგარა მარიონეტული თეატრი შევქმნა და ამით შევივსო ის სიყვარული, რაც საქართველოს თეატრებში განმიციდა. პერსონალური გამოუფენებიც მოვაწვევ 5 გზის. ვჭამ უცხოთბის მწარე პურს და სულ საქართველოზე, მის უღამამეს სულიერ სამყაროზე ვფიქრობ. მე ამით ვსამარდობ და ამით ვარსებობ. იმდენი მომცა ჩემმა სამშობლომ, რომ თავი გამაქვს და არ ვიკარგები ამ უცხოთბაში.

გიგზავნი ნამუშევრებს ოცი წლის წინანდელი შიშით, როდესაც პირველად გამოგიგზავნეთ – იქნებ, არ მოეწონოთ-თქო. მადლობა ცნობისათვის, რაც გამომიგზავნე. არ დაგავიწყდეს, რომ ევროპის დელაქალაქში უერთგულესი ძმა და მეგობარი გყავს. თუ ჩემი სამსახური დაგჭირდა, არასოდეს დაგზარდები. გკოცნი და თავს გიხრი. პატივისცემით, შოთა ლელაძე.

ჩემი მისამართია: FRANCE, 67000 STRASBOURG, 22a rue de Rosheim, Tel.: 03 88 22 69 58 **Leladze Shota**

## როკვა ნილაბით

დიდებულია ქართული ცეკვა, რაინდთა ქცევის სემინარია, ჩვენ ერს თუ შეკრავს, ალბათ ეგ შეკრავს, კაცებს - „ხორუმი“, ქალთ - „სამაია“.

მაგრამ ეგ რჩება იქ, ფარდის მიღმა, გარეთ კი, როცა მოვიხსნით ნილაბს, მაშინ იწყება „ცეკვა“ ნამდვილი, აქ ქალს არ ახსოვს თავის მანდილი.

ყველა კაცუნა ხტუნაობს ცერზე, არავინ იცავს რაინდთა წესებს, განყვეტილია ერთობის ძაფი, ჩვენ ვერ გვიშველის ქორეოგრაფი.

უცნაურია ქართული ცეკვა, ქალს არც ეხება ხელი რაინდის, ის ყველგან იპყრობს სცენას და ეკრანს, თუმც ჩვენი ყოფა სულ სხვა გზით მიდის!

მერაბ სინარულიძე



მიხეილ ჭიაურელს საიუბილეო ბანკეტზე ჰკითხეს:  
— აზერბაიჯანულ კონიაკზე რას იტყვითო?  
— სსრკ-ში პირველიაო.  
სომხებს ენყინათ.  
— სომხური კონიაკი აღარ გახსოვთო?  
— მსოფლიოში პირველიაო.  
— მაშ, ქართული კონიაკი რაღააო?  
— ქართული კონიაკი ამიერკავკასიაშია პირველიო! — უპასუხა.



„რთული ამოცანა დამისვეს ჩემმა ქართველმა კოლეგებმა ჟურნალ „ნიანგიდან“, დამენერა რამდენიმე სიტყვა... ნოდარ დუმბაძეზე!

საამისოდ კაცს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ტალანტი — წერდა ჟურნალ „კოკოდილის“ მთავარი რედაქტორი ალექსეი ჰიანოვი. იგი ბედნიერად თვლიდა ჟურნალს, მის კოლექტივს და იმ მკითხველებს, რომელსაც ჰყავდა ისეთი რედაქტორი, როგორც იყო ნოდარ დუმბაძე.

იმ სიმაღლეზე წავედი ძამა, ველარც მტრები მხედავენ და ველარც მოყვრებიო, — მეტყოდა ხუმრობით ნოდარი და თანაც დაუმატებდა „ისე არ წავალ მინას კვალი არ დავაჩინო, მე ღვინო უნდა დაძმარებას გადავარჩინო“. ცხადია, იგი ღვინის სიყვარულით არ წერდა ამ სტრიქონებს, მას ნაღდი ქართული სუფრისადმი კეთილგანწყობილება ახასიათებდა. იმ სუფრასთან ჯდომას არაფერი სჯობდა, სადაც ნოდარ დუმბაძე იმყოფებოდა. დიასახლისები შეწუხებულნი დარბოდნენ სუფრის გარშემო და სტუმრებს ეხვეწებოდნენ, მიირთვი ბატონო რამეო. ჭამა-სმისთვის ვის ეცალა, სიცილით იგუდებოდნენ. ეს იყო სიცილ-ხარხარის ოლიმპიადა. თუკი მოასწრებდი და შენც რალაცას ჩააკვებდდი და თანაც თვითონაც მოეწონებოდა, მისებური გემრიელი ხარხარით გეტყოდა: რა კარგი რალაცა თქვი, ნეტა მასეთი მე მეთქვაო.

ნოდარმა ვაჭრობის მინისტრს ავტომანქანა სთხოვა. განცხადებაზე გაჩნდა რეზოლუცია — „სპორტვაჭრობის დირექტორს, გაეცით მანქანა“. ნოდარმა განცხადება თავისი ხელით მიიტანა სპორტვაჭრობაში. იმ დროს სპორტვაჭრობის დირექტორი იყო ბორის პაიჭაძის ძმა, ავთანდილ პაიჭაძე, რომელიც ადგილზე არ აღმოჩნდა. ნოდარმა განცხადება განყოფილების გამგეს შეუტანა და სთხოვა გაეფორმებინა ავტომანქანის გაცემის დოკუმენტი. განყოფილების გამგემ არ მიაქცია საკმაო ყურადღება ნოდარს. განცხადება გვერდზე გადადო და უთხრა: ამნაირი განცხადებები ბევრი მაქვს და ვნახოთ, რამდენიმე თვეში გამოიარეთო.

გაბრაზებული ნოდარი იშვიათი შემთხვევა იყო, მაგრამ თუ გაბრაზდებოდა მტრისასო, რომ იტყვიან. შემოვიდა რედაქციაში და მთხოვა: - ჩადი ერთი „სპორტვაჭრობაში“ და გაარკვიე რატომ არ მაძლევენ მანქანასო. მეორე დღესვე ავთანდილ პაიჭაძის კაბინეტში გავეჩნდი. გაიგო რა ყველაფერი, ისე გაბრაზდა, შემეშინდა, განყოფილების გამგე არ მოკლასმეთქი, ვამშვიდებდი. განყოფილების გამგე ცოცხალ-მკვდარი გაიყვანეს კაბინეტიდან. მე მანქანა გამიფორმეს. ავტომანქანის ნომრებიც ავიღე და ხელდამშვენებული მივიდი ნოდართან სახლში. ჯერ მანქანა შეათვალიერა, მერე ნომრებს დახედა — 55-22 და მითხრა: რაია ძამა აგი, მანანას და ქეთინოს ნიშნები რომ მოგიტანიო.

გუშინ ოპერაში ვიყავი, — გვიყვება ნოდარი. ანტრაქტის დროს ფოიეში გამოვედი. ვილაც მოხუცებული კაცი ამეკვიპა. საითაც წავედი, იქით წამოვიდა. მივდივარ და ჩემსკენ მოდის: კი ვიფიქრე აქ მაინც დამასვენონ ამ საჩივრებისგან-თქვა. მერე პირდაპირ წინ გადამიდგა, მარა არაფერს მეუბნება. ვკითხე, რა გნებავს მეგობარო-თქვა და მაშინ მივხვდი, თურმე სარკეში ვიყურებოდი.

ოპერიდან ერთი კარგი თემაც მოიტანა: პარტერში მარტო მე ვიჯექი — გვიყვება ნოდარი. სცენაზე სამასი



კაცი მღეროდა. ქვემოდან დავუძახე: თუ შეიძლება „მხოლოდ შენ ერთს“ იმღერეთ-მეთქი.

ნოდარის რედაქტორობის დროს მე პარტოგანიზაციის მდივანი ვიყავი. ცოდვა გამხელილი სჯობსო, რომ იტყვიან ისეა. პარტსანვეროს გადახდა მიღებული ჰონორარის მიხედვით ხდებოდა. ჰოდა, ნოდარის კაი თანხის გადახდა უწევდა პარტიის სასარგებლოდ. ზაურ ბოლქვაძე, გარი მეტრეველი და მე მოვილაპარაკებდით, რომ ნოდარისთვის მეორეჯერ გადაგვეხდევინებინა პარტსანვერო. შევავსებდით უწყისს, მოვანერდით ხელს და ნოდარის გვარის გასწვრივ დავტოვებდით ხელმოსანერ ადგილს. შევუტანდით ნოდარს უწყისს და დავუდებდით მაგიდაზე. ნოდარი დახედავდა და გვეტყოდა: „ბიჭო! ამასწინათ არ გადავიხადე?“ თანაც ხელის მოსანერად კალამს მოიმარჯვებდა. ჩვენ უპასუხოდ ვტოვებდით მის ნათქვამს, მხოლოდ მხრებს ავიჩიჩავდით. ამის შემხედვარე ნოდარი ხელს მოანერდა უწყისში, ჯიბიდან ფულს ამოიღებდა და მაგიდაზე დადებდა. რამდენიმე ხანში ნოდარისთან ერთად სახინკლეში ამოვყოფდით თავს. აი, ასეთი უფროსი იყო ნოდარი.

გარკვეული დროის მანძილზე ნოდარ დუმბაძეს ფართო საზოგადოება ფიზიკურად არ იცნობდა, მისი გვარი და სახელი კი ცნობილი იყო. ჟურნალებიდან, გაზეთებიდან თუ წიგნის გამოცემებიდან ჰონორარი, გადარიცხვით შემნახველ სალაროში ირიცხებოდა. იმ დროსთან შედარებით კარგა გვარიანი თანხა დაუფროვდა ნოდარს. ერთ დღეს ნოდარმა შემსალაროს მიაკითხა ფულის გამოსატანად. წვერგაუპარსავი, ქუდჩამოფხატული, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანის მანერებით მიადგა ოპერატორის სამუშაო ადგილს და შემსალაროს წიგნაკი გადაანოდა. ოპერატორმა წიგნაკში ჩაიხედა, მერე ნოდარს შეხედა და მყისვე ადგილიდან წამოდგა. უფროსთან შევიდა და მოახსენა, რომ ნოდარ დუმბაძის წიგნაკი ვილაც საეჭვო პიროვნებამ წარმოადგინაო. ნოდარი უფროსის კაბინეტში შეიყვანეს. დანარჩენი თქვენთვის მომინდია ძვირფასო მკითხველო!

მოგონებები გრძელდება. მოსაგონარი ბევრია. საამაყოდ მიმაჩნია, რომ ნოდარი ჩემი მეგობარი იყო.

შანი სიხარულიძე



# ჯეშალ ლოლუა



აივსო ნეკროლოგებით ჟურნალ-გაზეთები. გამოჩენილ ადამიანთა ფოტოლტვივებამ პიკს მიაღწია. უსაზღვრო გახდა ჩვენი ქვეყნის გაჭირვება. მშვიდობიანი ცხოვრება სანატორილი შეიქნა. გულისტვივილი, უსულგულობამ, უნამუსობამ, უსამართლობამ, უმადურობამ თავისი ქნა. პატიოსანი შემოქმედი კაცის ცხოვრება ფიზიკური და მორალური ტერორის ქვეყანაში შეუძლებელი გახდა. გარდაიცვალა ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი მხატვარი ჯეშალ ლოლუა.

თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა ჯეშალ ლოლუა სატირასა და იუმორს. მისი ნახატი-კარიკატურები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე. მისი შემოქმედება გამოირჩეოდა უდიდესი პროფესიონალიზმით. საქართველოს სახალხო მხატვარი ჯეშალ ლოლუა იყო უაღრესად ნიჭიერი, სიტყვამართალი, თავმდაბალი, ობიექტური, უზომოდ პატიოსანი, შრომისმოყვარე. სიკეთე მისი თანდაყოლილი თვისება იყო. სარედაქციო საქმიანობაში ძალზე კრიტიკული და უკომპრომისო. ბევრჯერ მითქვამს ჯეშალისთვის: სუყველა რომ შენნაირი იყოს დედამინაზე, არც ერთი სამართალდამცავი სამსახური არ იქნებოდა საქართველო-მეთქი.“ კარგი ერთი, არც ეგრეა საქმეო,“ — მიპასუხებდა სიცილით.

დიდებული პიროვნება და მართლაც დიდებული მხატვარი დაკარგა ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციამ. ჯეშალ ლოლუას შემოქმედება მუდამ იქნება შემონახული საქართველოს სატირისა და იუმორის ისტორიაში. „ნიანგი“ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გაუფრთხილდება მის ხსოვნას.

„ნიანგის“ კოლექტივის სახელით **ჟანი სიხარულიძე**

## „ნიანგის“ ექსპერიმენტული ლაგორატორია



საკვლევი თემა:

1. რატომ არა აქვს სახედარს რქები.
2. სად ხარობენ „ჯიბიდან გავარდნილები“, ანუ ლეგიტიმური ქურდბაცაცები.
3. შეიშვება თუ არა ვირთხა ხორბლით გატენილ ბელელში.

როგორც უშუალო დაკვირვებამ და თეორიულმა სჯა-ბაასამ გვიჩვენა, სამივე თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკა მოაზრებადი და გადაწყვეტადია. რაც მთავარია, სამივე თემა განუყრელადაა ერთმანეთთან შერწყმული.

ვინაიდან აღარც „კრიტიკა კრიტიკობს“ და აღარც გაკრიტიკების ან სულაც „მინაში ჩადების“ გამო იხვრიტავს ვინმე ყურებს, გავბედავ და გავიმეორებ საკვლევი თემებიდან პირველ კითხვას — რატომ არა აქვს სახედარს რქები?!

პირველ თემასთან მიმართებაში შეიძლება შემხვედრი კითხვით გავიმინდვროთ: რატომ არ ივსება წლიდან წლამდე საქართველოს ბიუჯეტი? ვის რაში სჭირდება შევსებული ბიუჯეტი და გაცემული პენსია-ხელფასები?! და თუკი ბიუჯეტი შეივსო, შინ რა წაიღონ, სრა-სასახლეები რით ააშენონ, ხასა-საყვარელ-ხარჭათა ოცეული რითი არჩინონ ჩვენებურმა ჩინოვნიკებმა?!

ფული რომ უხვად ტრიალებს თეთრ და შავ ბაზარზე, ცხადზე ცხადია. საკითხი კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ მომდევნო თემაზე გადავალთ.

დიახ, სწორი ბრძანდებით: კარგა ხანია ფუნქციონირებს ბაცაცურდების ლეგიტიმური საშენი („პიტომნიკი“) მთავრობის წევრებისა და პარლამენტარებისათვის. ამასწინანდელი ომის დროს მაიმუნების ზღვისპირა „პიტომნიკი“ განადგურდა. დავიჯეროთ, რომ ამ საშენის ლიკვიდაცია კიდევ ერთი ომის გარეშე ვერ მოხერხდება?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს მესამე პრობლემაც: რაც ვირთხას უნდა ბელელში, ზუსტად იგივე უნდათ ჩვენი ჩინოვნიკების დიდ ნაწილს სახელმწიფო სამსახურში. ისე კი, ვირთხების ადგილი ნაგვის ბუნკერია და არა საქვეყნო ბელელი.

ექსპერიმენტები გრძელდება!

### ირვაპტი

#### გაფუჭებული ტელეფონი

- დიდოსარფის მარჯვენა
- ბეცნიერებათა კვანტიტატი
- დახავსიათება
- სულ ხარ საბა
- თბილავტოსაჯდომი
- პარლანეტარი
- სამთავრობო ძარცვა
- ტრაკტატი
- სახელმწიფო კანცლარია
- მოქჩაჯვირი

თემა და ნახ. გ. ჭანტუიასი



თვალის ექიმთან მყავდა, მირჩია, უკეთესია ბრმა იყოსო. ახლა რომ თვალი აუხილოთ, სამუდამოდ დაბრმავდებაო!





მეგრელთა და სვანთა ზღვარზე, სად მდინარე ლოკავს ლოდებს, მიუყრდენიათ მხარი მხარზე სვანურ კოშკს და მეგრულ ოდებს. მთისკენ მავალ თანამგზავრებს, ავტოს მოლოდინით დაღლილთ, გულლიად და ფართოდ კარებს უღებს მეგობრობის სახლი.

ძმობის ძალას ვერვინ მოშლის, გარს გვეხვიოს მტერი სულაც, ამდგარა და სვანთა კოშკი სამეგრელოს ჩამოსულა. ვინ ჩაუძღვა კოშკებს ბარში, სამეგრელოს იციანო, შენ იხარე, სოხუმელო სვანო, დავით კვიციანო.

ახლა, თხოვნა „ერიცახე“: გაძლევთ რამდენიმე კვირას, ეგ სვანური დადგი ციხე ბზიფისა და ფსოუს პირას.

მოისმინა და ჩაინერა ანზორ ბარამიამ (სამეგრელოს ზონის კორესპონდენტი)



— ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურია?  
— დიას!  
— მიშველეთ! ზენოლას განვიცდი!

**ჟურნალისტური გამოძიება**  
ვის რა ერგება სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული თანხებიდან:

- ხელისუფლებას — დოლარი.
- მაღალჩინოსანთ — ლარი.
- სპეციალისტებს — ჯუჯალარი.
- ინტელიგენციას — ჩოილარი.
- პენსიონერებს — ტაშაყლარი.



მომძიებელი — ყაზილარი



თემა და ნახ. შ. ლუღაბისა

ამ მთავრობამ ისეთი კეთილმოწყობილი საპატიმროს მშენებლობა წამოიწყო, წამდვილად თავისთვის უნდათ!

<p><b>მთავარი რედაქტორი:</b> ბეჟან სიხარულიძე</p> <p><b>სარედაქციო კოლეგია:</b> მურთაზ აბაშიძე ჭაბუა ამირეჯიბი საბა კვიციანი მალხაზ კუხაშვილი(მხატ/რედაქტორი) ნოდარ მალაზონია თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა)</p>	<p>რამაზ სიხარულიძე (პ/მგ მდივანი) ლერი ჩანტლაძე (ლიტ. რედაქტორი) ჯანსუღ ჩარკვიანი თამაზ წიგნიაძე</p> <p><b>დიზაინერი:</b> დავით თეთრაძე</p> <p><b>“ნიანგში” რეკლამა თავსდება</b> ტელ.: 93 49 32</p>	<p>თბილისი, 380008 რუსთაველის გამზირი, 42 ტელ.: 93 19 42; 99 55 54</p> <p>ჟურნალი გამოდის 1923 წლის 3 ივნისიდან</p> <p>რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის No 4/4—1263</p> <p><b>ფასი 60 თეთრი</b></p>
---	--	--



# ზოგადი ინფორმაცია

მოგს სახსრები აწუხებს და მოგიერთებს — უსახსრობა, ვინც ფესვმაგარ ფორმას აწყობს, წუხს, არ აწყობს ავი წყობა.

„ნიანგს“ უკვე შეეყარა უსახსრობის მძიმე სენი, გოგი, ბევრი განგიკურნავს, მოდი, ესეც დაიხსენი.

პარლამენტში შეგიგყუეს, მაგრამ არც იქ მიხარ უქმად, ყაზბეგი ხომ დაიპყარი, რას უპირებ ჯთმოდუნგმას? ვინ გაკადრებს „მეწველობას“ — მულამ იღვწი, მულამ ქველობ, მჯერა, იხსნი მრეწველობას, მრეწველობა — საქართველოს!



მეგობრული შარეი ჯ. კვანცალიანისა